

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №2 თებერვალი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული. 12(25) თებერვალი

იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842 წწ.) ბიზანტიის იმპერიაში ხატმბრძოლობის საშინელი ერესი მძვინვარებდა. იმპერატორის ბრძანებით სახელმწიფოს ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ მათ.

ქ. ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი, რომელიც ფარულად ინახავდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს. იმპერატორის გაგზავნილმა მხედრებმა იპოვეს ეს ხატი. ერთ-ერთმა მათგანმა „მახვილი დასცა პირსა ხატისა“. მოხდა სასწაული: ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ. ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინ. დილით კი, ღვთის განგებით, მან ხატი ზღვასთან მიაბრანა და ლოცვის შემდეგ, წყალში ჩაუშვა. ხატი, ზღვის ტალღებზე აღმართული, დასავლეთისაკენ გაემართა.

გავიდა ხანი. ერთხელ, მიმწუხრისას, ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე იხილეს ნათლის სვეტი. ეს ხილვა რამდენიმე დღე გაგრძელდა. წმინდა მთის მამები შეიკრიბნენ, ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ღვთისმშობლის ხატს ნათლის სვეტი ადგა, მაგრამ, როცა მიახლოება გადაწყვიტეს, ხატი ზღვის ნაპირს განეშორა.

იმ დროს მონასტერში მოღვაწეობდა ერთი ქართველი ბერი, გაბრიელი. წმ. მთის მამებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ივერიელი იყო ღირსი წმ. ხატის ზღვიდან გამობრძანებისა.

ათონის ბერებმა ქართველთა მონასტერს მიაკითხეს, მოძებნეს გაბრიელი და გალობით და საკმევლის კმევით, ზღვის ნაპირთან ჩავიდნენ. გაბრიელი ზღვაში შევიდა, ისე გაიარა ტალღებზე, როგორც ხმელეთზე და წმ. ხატი ნაპირზე გამოაბრძანა.

ეს მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.

ზვიდან გამობრძანებული ხატი ნაპირზე დაასვენეს და სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. იმ ადგილზე ცივმა და საამო წყარომ ამოხეთქა. ამის შემდეგ ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დაასვენეს. მეორე დღეს ხატი კარიბჭის კედელზე დახვდათ. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ყოვლადწმინდა ქალწული კვლავ გამოეცხადა გაბრიელს და უთხრა: „გამოუცხადე ძმათა, რათა ამიერიდან უმეტეს არღა განმხდიდნენ მე, რამეთუ მე მნებავს არა იგი, რათა მიცავდეთ თქვენ, არამედ რათა თვით მე გფარვიდეთ თქვენ, და ვიდრემდე იხილვებოდეს სავანესა ამას შინა ხატი, არა მოგაკლდეს თქვენ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა“.

ბერები გამოუთქმელი სიხარულით აღივსნენ, იქვე ააგეს პატარა ტაძარი, სადიდებლად ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა და საკვირველმოქმედი ხატი შიგ დაასვენეს.

პორტაიტისას, ანუ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით, დღესაც მრავალი სასწაული აღესრულება.

მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მირქმა უფლისა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია, მაგრამ VI საუკუნემდე იგი გამორჩეული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს, ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ერთ უბედურებას სხვა დაერთო — შავი ჭირის ეპიდემია, ყოველდღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ზეგარდმო ეუწყა, რომ მირქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ და, როცა ამ დღეს ღამისთევის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად 544 წელს ეკლესიამ განაჩინა, მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი აღენიშნათ უფრო საზეიმოდ.

8 თებერვალი — ხსენება წმ. დავით აღმაშენებლისა

დავით აღმაშენებელი დაიბადა 1073 წელს. 1089 წელს გიორგი მეფემ 16 წლის შვილი ტახტზე აიყვანა და გაამეფა. დავითის გამეფების დროს საქართველო საშინლად დაცემული იყო. უსჯულო მუსულმანები საშინლად ავიწროებდნენ ხალხს. ბევრი ქალაქი, მონასტერი და ეკლესია დაანგრიეს და გაანადგურეს.

მაგრამ ავიდა თუ არა დავითი ტახტზე, მაშინვე შეკრიბა ჯარი და მამაცურად დაუწყო მძვინვარე მტერს ბრძოლა. 1110 წელს მან თრიალეთის ომში სძლია სულთანი მუჰამედი და დაიბრუნა სამშვილდის ციხე, აქედან გადავიდა სამხრეთ კლარჯეთში და განდევნა ჭოროხის ხეობაში ჩამოსახლებული თათრები. ამის შემდეგ გაათავისუფლა თბილისი, გადავლო ცივ-გომბორის მთა და ჯარით მივიდა ნუხის მაზრაში. 1117 წელს დავითმა აქ დაამარცხა მტერი, და შემდეგ ომი გამოუცხადა განჯის მხარეს მყოფ თათრებს. 1120 წელს სძლია განჯის ემირი და გაუწყვიტა ჯარი. განრისხებულმა ხონთქარმა აუარებელი ჯარი გამოგზავნა საქართველოს მეფის დასასჯელად. გმირი დავითი არ შეშინდა — მოამზადა თავისი ჯარი და დაუხვდა მტერს დიდგორში. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. გამარჯვება დავითს დარჩა.

ამგვარად, დაცემული საქართველო თანდათან აღდგა და აღორძინდა. უაღრესად განათლებული ადამიანი ბრძანდებოდა მეფე დავითი და საღმრთო წერილისა და სხვა წიგნების კითხვა ძლიერ უყვარდა. ამიტომ

მას სურდა ერიც განათლებული ჰყოლოდა. მან მრავალი სკოლა დააარსა საქართველოში. ამას გარდა, იგი ყოველ წელს აგზავნიდა ქართველ ყმაწვილებს საბერძნეთში უცხო ენების შესასწავლად და მერე წიგნების სათარგმნელად.

დიდი ღვაწლი დასდო მეფე დავითმა სამეფოსა და ხალხს, ხალხმაც არ დაივიწყა და ჯეროვნად დააფასა ეს ღვაწლი და რადგანაც იგი იყო აღმაშენებელი ქვეყნისა, მოშიში ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა და მონასტერთა მშენებელი, სამღვდელოთა პატივისმცემელი, ამისათვის ხალხმა მას უწოდა „აღმაშენებელი“, ხოლო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

დავით აღმაშენებელმა სულ 33 წელიწადი იმეფა და გარდაიცვალა 1126 წლის 24 იანვარს. გვამი ამ შესანიშნავი მეფისა განისვენებს გელათის მონასტერში.

11 თებერვალი — ხსენება მოწამე ავოტ დიდი კურაპალატი

19 თებერვალი — ხსენება ღირსი შიო მღვიმელისა.

6 (19) თებერვალი — ხსენება არსენ იყალთოელისა (+1127)

მათთვის, ვისაც ჰოროსკოპების სჯერა

დღეს თანამედროვე ახალგაზრდობა, და არა მარტო ახალგაზრდობა, ინტერესით მისდევს აღმოსავლური (ჩინური) ჰოროსკოპების ტრადიციებს. ამასთან დაკავშირებით არის ორი ლეგენდა. ერთი ლეგენდის მიხედვით, 12 ნიშნის შექმნა თავად ბუდას მიეწერება, მეორე კი ჩვ. წელთაღრიცხვამდე მცხოვრებ ნახევრად მითიურ ყვითელ იმპერატორს. ჩინელ ხალხს ბუდასთან დაკავშირებული ლეგენდის უფრო სჯერა. ლეგენდა გვიამბობს, რომ ბუდამ სტუმრად მიიწვია ცხოველთა სამეფოს ყველა წარმომადგენელი, მაგრამ გამოცხადდა 12 მათგანი. ერთგულებისა და მადლიერების ნიშნად ბუდამ თითოეულს საკუთარი წელიწადი აჩუქა. ეს არის ჩინური მსოფლმხედველობა, რომელსაც გავაგრძელებთ ინტერნეტში მოპოვებული მასალით:

„მაიმუნის წელი რისკის, თავგადასავლების და ოცნებების ასრულების წელიწადია, როცა შეგიძლიათ ფრთები შეასხათ თქვენს ყველაზე გიჟურ, ერთი შეხედვით უტოპიურ მიზნებს და ოცნებებს. ასე რომ, ნუ შეგეშინდებათ რისკისა და თავგადასავლების, თამამად ისურვეთ და ჩაიფიქრეთ. მაიმუნი სწყალობს ყველას, ვისაც არ ეშინია იცხოვროს სისხლსავსე და აქტიური ცხოვრებით“.

ხალხს სჯერა, რომ ცხოველები, ამ შემთხვევაში მაიმუნი, გავლენას ახდენს მის ბედზე და აყალიბებს მის ხასიათს.

როგორია ეკლესიური სწავლება: ფსალმუნი ამბობს, რომ: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა ჰყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვსა უგუნურსა და მიემსგავსა მას“. ადამიანი მართლა შეიძლება დაემსგავსოს მაიმუნს, მაგრამ ეს არ იქნება მაიმუნის ძალაზე დამოკიდებული, არ იქნება მაიმუნის ბრალი, არამედ ადამიანის უგუნურობის ბრალი იქნება. ადამიანი არის გონიერი არსება, ღვთის ხატად შექმნილი და ის უნდა ისწრაფვოდეს შეიძინოს არა მაიმუნის თვისებები და დაემსგავსოს მაიმუნს, არამედ — შემოქმედ ღმერთს.

როცა ადამიანი გააცნობიერებს ამას, ე. ი. ჩასწვდება ცხოვრების ღრმა აზრს, რაც მდგომარეობს სულის უკვდავებაში, მისი საგანძური გახდება მართლმადიდებლობა. მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ჰოროსკოპი სასაცილოა, იმიტომ, რომ მას გაცნობიერებული აქვს, რომ სამყაროს შემოქმედია ღმერთი, დროც და წელიწადის დროებიც მისი შემოქმედების ნაწილია და ის იმედს ამყარებს ღვთის წყალობაზე. მაიმუნის წყალობაზე (როგორც ზემოთ წერია) როგორ უნდა დაამყაროს გონიერმა ადამიანმა იმედი, მართლაც იწვევს გაკვირვებას.

ყველაფერი არის ღმერთის: უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა.

ჩვენს გაზეთში მაიმუნის გამოსახულება ასეთ კონტექსტში არ უნდა მოხვდეს, თორემ მაიმუნის, როგორც ღვთის ერთ-ერთი პატარა ქმნილების საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი არა გვაქვს.

არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი
ნანა ეფხოშვილი

ვისახსოვრე, ღიახ, ვისახსოვრე!

ბატონ შოთა არაბულის მოთხრობაში „ბაბრი და ხევსურები“ სოფელს შემოჩვეული აბეზარი ბაბრის სიცოცხლე სოფლის მწუხარებაში გადაიზარდა.

ბაბრი მარტო მოსიარულე, გამძლე და ძლიერი მგელია. აი, ასეთმა მგელმა — ბაბრმა მუსრი გაავლო სოფლის ძაღლებს. შეწუხდა სოფელი. ხაფანგიც დაუგეს, მაგრამ ერთ დილას ნახეს ხაფანგიც გაქრა და ის კუნძიც, რაზეც ხაფანგი იყო დამაგრებული.

ჩაჩურის, სოფლის განთქმული მონადირის მეთაურობით ახალგაზრდობა მგელს კვალში ჩაუდგა და მალე მიადგნენ ერთ საზავეე ხევს. ამ ხევში თოვლი ისე იყო შემლღვალი, რომ შეიძლება სულ მალე მოწყვეტილიყო და ზვავს წამოეღო ყველაფერი. ბაბრიც მალე შენიშნეს, სწორედ ამ ზვავზე გასულიყო. მართლაც, მალე იჭექა ზვავმა და დაეშვა ქვევით, გაიტაცა ბაბრიც. აქ იწყება ბაბრის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სტიქიასთან, რომელიც ასე ხატოვნად აქვს აღწერილი ავტორს. სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთის პირისპირ დგანან. თითქოს ერთმანეთს ეთამაშებოდნენ.

ამ ბრძოლის დროს ბევრი რამ ხდება. ჯერ ერთი, ჩაჩური აღტაცებულია ბაბრის ბრძოლით და უკვე მისი მხარე უჭირავს.

„ერთ ციცაბო ადგილას ზვავმა მგელი ასწია და ბექობიდან გადაისროლა.

ბიჭებმა აღტაცებისა და გაოცების ყიჟინა დასცეს. „— გულები არა აქვთ ამ ძაღლიშვილებს, — აყვირდა აქოშინებული მონაიდრე. — ამათგან რანაირი კაცები დადგებიან?!“

ვაჟკაცმა იცის ვაჟკაცობის ფასი.

მაშინ, როდესაც ზვავმა ბაბრი ნაპირს მოაგდო, ვიღაცამ კეტი აღმართა, მაგრამ ჩაჩურმა შეძახილით შეაჩერა.

ზვავმა ბაბრი კვლავ ჩაიხვია და უყურა რა ხალხმა ამ ბრძოლას, „უმეტესობას სიბრალული ესახებოდა სახეზე“.

ბაბრი მოკლა ზვავმა. ახალგაზრდობამ დამარხა, რადგან ჩაჩაურის თქმით, „ამას მგელ-კვერნების ძიძგნა არ ეკადრებისო“.

თუ პირველ ხანებში მთელი სოფელი მზად იყო ჩაექოლათ და მოეკლათ ბაბრი, სამაგიეროდ რა იხილეს სიკვდილ-სიცოცხლესთან ბრძოლა, მათშიც გაიღვიძა ადამიანში დაბუდებულმა სიკეთემ და მკვდარი ბაბრი ტურების საძიძგნელადაც აღარ გაიმეტეს.

როდესაც დამყარდება კონტაქტი ბუნებასა და ადამიანს შორის, სწორედ მაშინ იღვიძებს სიკეთე.

ბატონი შოთა არაბულის მოთხრობაში „სოფლის ჭირისუფალი და ბრძენი“ — მწვავედ დგას დღევანდელი ჩვენი მთის პრობლემა: მისი დაცარიელება, უპატრონოდ დარჩენილი სოფლები. თუ მთა დაგვიცარიელდა, თუ სოფელში ხალხი ცოტა დარჩა, მაშინ მარტო ქალაქში იქნება საქართველო? არა, უსოფლოდ უთუოდ ვერ შეძლებს იგი ამას. აბა გადაიკითხეთ თუნდ მარტო ეს მოთხრობები და რამდენი სიკეთე და კეთილშობილება დაიკარგება, რომელიც ქართველ ხალხს ოდითვე მოსდევდა.

უშიშას ქალაქში წასვლია ნაშიერი. შემოუთვალეს მოვალთო და ჩავიდა ბარად, გზისპირად, შესახვედრად, მაგრამ სიტყვა გატეხეს და არც წელს მოუვიდნენ. ეწყინა, წყენა გულში ჩაიხშო, მაგრამ ბოლოს მაინც გადმოხეთქა მოვარდნილი ზვავივით.

„— არ მოვლენ და იქ იყვნენ, სადაც არიან, — თქვა აღრენილ კილოზე: — ერთ მშვენიერი დღეს უკაცურ სოფელს რომ ნახავს ვიღაც გადამთიელი, ოჩანი და ოჩოპინტა, ოჩიაურად მოინათლება ჩვენი თვალის ასახვევად, ჩაგვისახლდება აქ და თავის სულს და ხელს დაატრიალებს ყველაფერში: ჩვენს მამა-პაპათა საფლავებს სამწვანილედ გადახნავს, ყველაფერს თავის სტვამაქის გასაბერავად აქცევს და ბოლოს ამ საშზეურსაც საძაღლეს შეარქმევს, თვითონაც ძაღლივით შემოგვიღრენს და შემოგვყეფს. მერე იმის მტკიცებასაც შემოგვბედავს, რომ საშზეური მისი მამა-პაპათა სამფლობელო ყოფილა ათადან-ბაბადან და ამაზე უარის მოქმელიც აღარავინ იქნება...“

ამაზე უკეთ ძნელია გამოსახო მთიელი კაცის გულისტკივილი, მაგრამ ეს გულისტკივილი განა ქართველი კაცის გულისტკივილი არაა?!

2000 წელს კობა ბუჩუკურის თანადგომით გამოიცა კიდევ ერთი კრებული „ნისლისფერი ცხენები“, სამწუხაროდ, მისი ბოლო კრებული, რომელშიც 6 შესანიშნავი მოთხრობაა შესული. ამ კრებულს წამძღვარებული აქვს ჯანსუღ ღვინჯილიას წერილი, სადაც ის ამბობს: „მე — ჯანსუღ ღვინჯილიას — თბილისში მცხოვრებ ბაღდათელ კაცს, მშურს იმ მწერლებისა, რომელთაც შეძლეს კერისაგან მოუწყვეტლად ეღვაწათ ლიტერატურაში. მშურს ჩემი ოტია იოსელიანის და შოთა არაბულისა.

შოთა არაბული ეაზბეგელი კაცია, სულითა და ხორცით მწერალი, ჟამიჟამ ჩამოდის თბილისში, ჩამოაქვს მშვენიერი მოთხრობები და ელოდება დასტამბვას. ყველგან უყვართ, ყველა გრძნობს, რომ ნაღდია, გულითადი, პირში მოქმელი, ხალასი.

შოთა არაბულის გმირები დატვირთული არიან ღრმა ადამიანური განცდებით, ამაღლებული სულისკვეთებით, ტრადიციების ერთგულებით, მთის მამაპაპური კანონებით, პასუხს აგებენ მოვალეობის წინაშე.

კაცური ღირსების შენარჩუნებისათვის იბრძვის, მწერალი ხედავს, რამდენი რამ ემუქრება ინტეგრაციის პირობებში ამ კაცურ ღირსებებს, კერძოდ, მოხვევის შინასამყაროს.

ულმობელი დრო ცდილობს ანაქრონიზმად მონათლოს ჩვენს დღევანდელობაში გადმოტყორცნილი დიდი წარსულის დინებები. არადა, ხერხემლის გაგრძელებაა ამ ღირებულებების ერთგულება! რასაც ულმობელი დრო გვაწვდის სიახლედ, უმეტეს შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა სიახლედ მონათლული ცოდვილობა, ანუ გაპრანჭული პროვინციალიზმი.

გაუმარჯოს ხერხემალს, რომელიც იზრდება!“

ბატონმა შოთამ აღნიშნული კრებულიც, როგორც სხვა ყველა, მისახსოვრა და თან წამიწერა: „ჩემო ციცო, — ისახსოვრე შენი მასწავლებლისგან ეს მცირე საჩუქარი — შოთა არაბული, 4.XII 2000. ყაზბეგი“.

დიახ, ვისახსოვრე ეს დიდი საჩუქარი, დიახ, ის ჩემი მასწავლებელი იყო საშუალო სკოლაში. მასწავლიდა ქართულ ლიტერატურას. მისგან ვისახსოვრე ქართული ლიტერატურის სიყვარული, ვისახსოვრე მისი რჩევა-დარიგებები, ვისახსოვრე, დიახ, ვისახსოვრე და არც არასოდეს ვუღალატებ.

გული მტკივა, რომ ბატონ შოთა არაბულზე წარსულში მიწევს საუბარი. მას შეეძლო მრავალი საუკეთესო მოთხრობა ეჩუქებინა თაობებისთვის, მაგრამ იმედურის არ იყოს, უკულმართია წუთისოფელი...

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ციცინო ღუდუშაური
გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნუ დავაბინძურებთ გარემოს

მსგავსი სათაურის სტატია დაიბეჭდა „ჩემი გიმნაზიის“ დეკემბრის თვის გაზეთშიც, სადაც საუბარი იყო ეკოსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებაზე „გავუფრთხილდეთ და დავიცვათ გარემო“. რაიონის საგანმანათლებლო სკოლებს შორის ჩატარებულ ღონისძიებაში სულ 28 ბავშვმა გაიმარჯვა, მათ შორის ხუთი წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოსწავლე იყო. ესენი არიან: თემო ბუჩუკური, დავით ტუჩაშვილი, მარიამ სუჯაშვილი, დავით ოდიშვილი და გიორგი ბუჩუკური. ამის შემდეგ ჩატარდა მეორე ტური. ბოლო ტური მიზნად ისახავდა გარმაჯვებული მოსწავლეებიდან სამი ბავშვის გამოვლინებას.

ტურის შესახებ გვესაუბრება ყაზბეგის ეროვნული პარკის ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის უფროსი სპეციალისტი მარინე ჩქარეული.

როგორც უკვე აღინიშნა თქვენს გაზეთში, ღონისძიება „გავუფრთხილდეთ გარემოს“ მიზანი იყო გამოგვეელინებინა ბავშვების დამოკიდებულება, ხედვა გარემოს დაცვის მიმართ. ჩვენი მიზანია გავაძლიეროთ აქტივობა გარემოს დაცვის საკითხებში და პოპულარიზაცია გავუკეთოთ როგორც დაცული ტერიტორიების, ასევე ბუნების დაცვის საკითხებს. პირველი ტურის ჩატარების დროსვე აღმოჩნდა, რომ ბავშვებს საინტერესო ხედვა აქვთ ბუნების დაცვის საკითხებზე. მეორე ტურში გამარჯვებული მოსწავლეების ნახატები კი მართლაც საინტერესო იყო, როგორც თემატურად, ასევე მხატვრული თვალსაზრისით. მეორე ადგილზე გასული გიმნაზიის მოსწავლის, მარიამ სუჯაშვილის ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ბავშვის ნახატი მიზანმიმართულია და საკმაო ნიჭს ამჟღავნებს ხატვისას. ბავშვების დაინტერესების მიზნით გამოვლენილ სამ გამარჯვებულს გადაეცა საჩუქრები:

ყაზბეგის საჯარო სკოლის პირველ ადგილზე გასულ VIII კლასელი არაბული დასაჩუქრდა პლანშეტით, მეორე ადგილზე გასული წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის VII კლასელი მარიამ სუჯაშვილი — ფოტოაპარატით, ხოლო მესამე ადგილზე გასული გორისციხის საჯარო სკოლის მე-4 კლასელი ტუჩაშვილი — მობილური ტელეფონით. ტურის მონაწილე ყველა მოსწავლეს გადაეცა ფასიანი საჩუქრები: კალმები, ჭიქები და მაისურები ჩვენი ლოგოთი. ყველაფერ ამაში ფინანსური დახმარება გაგვიწია ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციამ. მხარში დაგვიდგა რესურსცენტრი, თითოეული სკოლის დირექტორი. შეჯიბრების მსვლელობის დროს ჩვენს გვერდში იდგა გიმნაზიის დირექტორი, მეუფე იეგუდიელი, სასწავლო ნაწილის გამგე სასწავლო-საალმზრდელო საკითხებში ნატა თექთუმანიძე და მასწავლებელი ცისია ფირანიშვილი.

ღონისძიებაზე აქტივობა იმდენად დიდი იყო, რომ ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია და ეკოსაგანმანათლებლო სამსახური მომავალშიც აპირებს მსგავსი ღონისძიებების ჩატარებას. ვგეგმავთ ვიქტორინას: რა, სად, როდის? კითხვები დასმული იქნება გარემოს დაცვაზე. ასევე ვფიქრობთ ფოტოკონკურსის მოწყობას ისევ — თემაზე „გავუფრთხილდეთ გარემოს“.

ყაზბეგის ეროვნული პარკის ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის
უფროსი სპეციალისტი მარინე ჩქარეული

კონცერტი გიმნაზიაში

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიას 19 თებერვალს სტუმრად ეწვია დები გოგოჭურების მიერ ჩამოყალიბებული ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „ლიბუ“. ღონისძიებას ესწრებოდნენ გიმნაზიის მასწავლებლები, მოსწავლეები და სხვა სტუმრები.

ანსამბლი „სამედაშენოს“ დამაარსებელი დები გოგოჭურები დიდი ხევსურული ოჯახის წარმომადგენლები არიან. მათ ოჯახში თურმე სიმღერას დიდი ხნის ისტორია აქვს. ანსამბლში ამჟამად ოთხი წევრია: მარიამი, ქეთევანი, თამარ და მანანა გოგოჭურები. ისინი სისტემატურ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ფესტივალებსა და ფოლკლორულ სადამოებში.

19 თებერვალს კი ანსამბლ „ლიბუს“ ხელმძღვანელობდა თამარ გოგოჭური.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ხალხური სიმღერები. სიმღერებს ასრულებდა ნიჭიერი მომღერლებისგან შემდგარი ბავშვთა ჯგუფი. ხალხური ტრადიციული სიმღერები შესრულდა ფანდურის, სალამურის და ტამტამის თანხლებით. წარმოდგენილი ნომრები იყო ემოციურად დატვირთული, რამაც მსმენელს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. კონცერტში მონაწილეობა მიიღო გიმნაზიის მგალობელთა ჯგუფმაც.

დასასრულს სტუმრებმა შესანიშნავი სიმღერა მიუძღვნეს ხევს.

ქალბატონი თამარ გოგოჭური გულთბილად გამოგვეშშვიდობა და აღნიშნა, რომ მთა და მთის ხალხი ძალიან უყვარს. მართალია, წინა დღეს წამოსულებს უდელტეხილზე სიძნელეები შეხვდათ, მაგრამ მეორე დღეს მაინც ჩამოაღწიეს ჩვენამდე, რითაც თვითონ უფრო კმაყოფილები იყვნენ.

სტუმრებმა მადლობა გადაგვიხადეს მასპინძლობისათვის და დაგვეშშვიდობნენ.

თამო ქუშაშვილი
გიმნაზიის VI კლასის მოსწავლე

ხევის ღირსშესანიშნაობები



ხევი მდიდარია ღირსშესანიშნაობებით. ყველა რომ დავასახელოთ და ყველა აღვწეროთ, ამას ერთი დიდი წიგნიც არ ეყოფა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ „ჩემი გიმნაზიის“ ყველა ნომერში თუ ხევის რამდენიმე ღირსშესანიშნაობაზე ვისაუბრებთ, ესეც მნიშვნელოვანი იქნება.

მოხევეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაგებობა, წმინა სამების ტაძარია, რომელიც მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. ბრიტანულმა გამოცემამ „ტელეგრაფი“ მსოფლიოს ოც ულამაზეს ეკლესიათა სია გამოაქვეყნა, რომელშიც მე-6 ადგილს იკავებს გერგეტის წმინდა სამების ტაძარი.

მეორე დიდი საოცრებაა მყინვარი, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს მთელ კავკასიონს.

ჩვენი ღირსშესანიშნაობები მარტო ეს არ არის. მე პირადად გულისტკივილი მინდა გამოვთქვა მივიწყებულ ღირსშესანიშნაობებზე, რომლებიც უყურადღებობის გამო დროთა განმავლობაში უმოწყალოდ ინგრევა. ასეთებია; არშის ციხე, ღალაგურის წმინდა გიორგის სალოცავი. აჩხოტის ციხე და კიდევ რამდენი სხვა.

ამ ღირსშესანიშნაობებს რომ სათანადო ყურადღება მიექცეს, ჩვენ მომავალ თაობას შემოენახება და ისინიც ჩვენსავით იამაყებენ ჩვენი უძველესი კულტურით.

ნუ მოვუსპობთ ჩვენ მომავალ თაობას ამ სიხარულს.

თემო ბუჩუკური
გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლე

ჩემი ყაზბეგი

მომნატრებია ჩემი ყაზბეგი,
ცად აზიდული ამაყი მთები,
თეთრი მყინვარი მიუწვდომელი
ხმაურიანი მშფოთვარე თერგი.

ყინულიანი გრძელი ბილიკი,
წმინდა სამება ცად გაკიდული,
მთლად დაღარული სალი კლდეები,
ღრმა ნაპრალებით ხევს ჩაკიდული.

მომნატრებია მაღლა კლდეებში,
ჯიხვი ამაყად მდგარი ქარაფზე,
იქვე მთის ძირში მწყემსის კომბალი
მიყუდებული ლამაზ კარავზე.

მამისეულ სახლს რა დამავიწყებს,
სითბო მაკლია დედის ხელების,
დავხუჭავ თვალებს, მათ სახეს ვხედავ,
თითქოს ხმაც მესმის ჩუმი ხველების.

სახლის კედლებსაც ტკბილად ვაკოცებ,
აქ ყველაფერი მაგონებს წარსულს,
მხოლოდ ოცნებით თუ დავიბრუნებ
წლებს ბავშვობისას, ნისლებში წასულს.

ყოველი ნივთი მშობლებს მაგონებს,
კედლიდან მიცქერს მათი თვალები,
პატიებას გთხოვთ, რომ ვერ განახულობთ,
შორიდან თქვენს სულს ვენაცვალები.

ჩემთვის სამშობლო ხევით იწყება,
სიყვარულით მაქვს გული გამთბარი,
ღმერთო ძლიერო, ხევი დალოცე,
გადამირჩინე ჩემი მთა-ბარი!

გიული ჩქარეული

გუდაური

სამთო-სათხილამურო კურორტი გუდაური ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებაა. ზღვის დონიდან 2196 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

სათხილამურო სეზონი დეკემბრიდან აპრილამდე გრძელდება. დღესდღეობით მოქმედ სამ- და ოთხადგილიან საწეველებს მოთხილამურეები 2000 მეტრიდან 3006 მეტრ სიმაღლეზე (მთა კუდებზე) და 3270 მეტრ სიმაღლეზე (მთა საძელზე) აჰყავს. ამჟამად სულ 5 საწეველა ფუნქციონირებს. სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე 16 კმ-ს შეადგენს.

ზამთრის სეზონში ამ სამთო-სათხილამურო კურორტს უამრავი დამსვენებელი სტუმრობს და რა კარგია, რომ მსოფლიოში ასეთი სახელგანთქმული კურორტი ჩვენგან მხოლოდ 35 კილომეტრითაა დაშორებული. ამიტომ ყაზბეგის მოსახლეობისათვის შედარებით ხელმისაწვდომია იქ სტუმრობა.

მე და ჩემი გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შერჩევით მოვხვდით გუდაურის „მთის სახლის“ სპორტულ სკოლაში.

საწვრთნელი გაკვეთილები ათი დღე გაგრძელდა.

მთელ დღეს აქტიურად ვატარებდით.

ყოველი დღე ვარჯიშით იწყებოდა. შემდეგ სასრიალოდ გავყავდით. ჩვენი მწრთვნელი კოტე მასწავლებელი ძალიან თბილად და გულისხმიერად გვექცეოდა. ბავშვებს ის ძალიან შეგვიყვარდა. იქ ჩვენ ბევრი სხვა სკოლის მოსწავლე გავიცანით და დავუმეგობრდით. საღამოს ყველანი სპორტულ სკოლაში ვბრუნდებოდით. ერთად ვთამაშობდით, ვერთობოდით, ვუყვებოდით ერთმანეთს ჩვენს მხიარულ თავგადასავლებს და ვკითხულობდით წიგნებს.

ჩვენი მწვრთნელების დამსახურებაა, რომ თხილამურებით სრიალი კარგად შევისწავლე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ყაზბეგის მუნიციპალიტეტს და ჩვენს მწვრთნელ მასწავლებლებს, რომელთაც ჩვენ ასეთი მხიარული და ნაყოფიერი არდადეგები გვაჩუქეს. ეს დღეები მართლაც სამახსოვრო იყო და არასოდეს დამავიწყდება.

ნიკოლოზ ქუშაშვილი
გიმნაზიის V კლ. მოსწავლე

ტყარშეტის სალოცავები

ვალერიან ითონიშვილი

ნოემბრის თვის გაზეთში ვალერიან ითონიშვილის წიგნიდან „ხევის ყოფა-ცხოვრება“ დაიწერა გორისციხის წმიდა გიორგის სალოცავზე. ახლა კი ამ წიგნიდანვე მარიამ ბაკურაძე გვესაუბრება სოფ. ტყარშეტის სალოცავებზე.

სოფ. ტყარშეტის სალოცავები იყო: ეკლესიის ნანგრევები ე. წ. ხატის ციხე — მამაწმიდის სალოცავი. იმის ბოლოზეა კვირე, სადაც კვირესძლობა იმართებოდა. სოფლის ბოლოზეა ბერი წმიდა გივარგი, სადაც ყველიერში დიდ ხუთშაბათს მიდიოდნენ. სალიცავად უმთავრესი დღეობები იყო შობა-ახალი წელი, აღდგომა, კვირესძლობა, ამაღლება, მამაწმიდობა.

დღეობაზე დეკანოზობდა ან ხატის მიერ ამორჩეული დეკანოზი, ან მოწმინდარი მნათე. მნათე ამ მოვალეობას ასრულებდა დროებით, მხოლოდ თავის მნათეობის პერიოდში. მისგან განსხვავებით, ხატის მიერ ამორჩეული დეკანოზი მთელი სიცოცხლის განმავლობაში დეკანოზობდა. ხატის მიერ დეკანოზის ამორჩევა კი ხდებოდა ქადაგების გზით. დეკანოზის შესახებ ლეგენდაც კი იქმნებოდა. მაგალითად, გუგუტეთ (მაისურაძე) სვიმონა, რომელმაც 130-140 წელს იცოცხლა, მამაწმიდის ნიშთან კლდეზე გადავარდნილა და დაცემულა მდელოზე კვირეცხოვლობის ნიშთან. ის უჭირველი ასულა თავის აშენებულ ქოხში, სადაც წმინდობდა. ის ხალხს არწმუნებდა, რომ ხატმა დაიფარა.

შობა-ახალ წელს ხატში არ გადიოდნენ და დღეობას ჩვეულებრივი მოხეური წესით იხდიდნენ, მაგრამ მნათეობის სავალდებულო წესის შესრულებით. მამაწმინდის ხატში გასვლა, საკლავების შეწირვა წესად იყო აღდგომაზე. ამავე დღეობებზე ალოცებდნენ (ავედრებდნენ) მონათლულ ბავშვებს და პატარძლებს.

აღდგომაზე კლავდნენ როგორც მნათის, ისე მლოცველთა მიერ შეთქმულ-შეწირულ საკლავებს. შეთქმული საკლავის ხორცი იქვე იხარშებოდა, ხოლო მნათის საკლავის ხორცი საერთო-სასოფლო სამხდოს ხმარდებოდა. საახალწლო სამხდოს მნათეები ცალ-ცალკე აწყობდნენ.

მოამზადა მარიამ ბაკურაძემ
გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლე

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი